

საქართველოს კანონი

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
დამატების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) დაემატოს შემდეგი შინაარსის 381¹ მუხლი:

„მუხლი 381¹. დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა

დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175²-ე მუხლის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ასოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთის ვადით ერთ წლამდე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი